წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 11 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 425 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 425

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია

ამით აუწყებს პატივცემულ ქართულ საზოგადოებას, რომ დღეს, 12 საათზე, საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი

ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად. 1-1

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

მწუხარებით აუწყებს ქართულ საზოგადოებას უდროოდ გარდაცვალებას—ცნობილის ქველმოქმედის

ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისას.

დღეს, 12 საათზე, საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი.

278 1·1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 8 აგვისტოდან ახალი პროგრამა:

უცნობის ნაამბობი.

უცნობს ნაამბობი.

ა. ჰ. ჩეხოვის მოთხრობიდან. 4 ნაწილად მ. ა. ჩერნოვის და გ. ვლასოვის მონაწილეობით.

**ანონსი:** ხუთშაბათს, 11 აგვისტოდან:

**ძველი სომხეთის სატახტო ქალაქი ანი.** სურათი.

მკვიდისონი არ იბადებიან. ძლიერი დრამა 3 ნაწილად იტალიელთა საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

დრაკონის კონტრაქტი კომედია 2 ნაწილად. კარალის, ხერუვიმოვის, ნიგოფადა ფერტნერის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 4 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

**მხოლოდ მოზრდილთათვის**

მისი აღმატებულების საყვარელი

ნებეროვსკაიას, გედევანოვას, პავლოვის და ბაშილოვის მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი.** მიმდინარე ამბები.

**ანონსი:** ხუთშაბათ, 11 აგვისტოდან:

**ყავის კულტურა ბრაზილიაში.** სურათი.

გამცემი. პატრიოტული დრამა თანამედროვე ომიდან 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

რინოს თუთუნის მოწევა სურს.

კომიკური.

დ ა ვ კ ა რ გ ე

დიომიდე სპირიდონის ძე ცაგარეიშვილმა დავკარგე პასპორტი, მოწმობა მთავარ რკინის გზის სახელოსნოსი, კიდევ ექიმის მოწმობა. ვინაიდან ეს მოწმობა სხვისთვის არავითარი გამოსადეგი არ არის, მპოვნელს ვსთხოვ ყველა ესენი დამიბრუნოს.

276 მისამართი: ქ. ქუთაისი, წიგნის მაღაზია ვასილ კორძაძეს 1-2

— ი ყ ი დ ე ბ ა —

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქაროვის სავაჭროში, ყურძნის საქაჩავი და ყურძნის საწური. ვურჩევთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ გასავრცელებლად სოფლის მეურნეთა შორის ზემოხსენებული საქაჩავი, ვინაიდგან იგი დიდ დახმარებას გაუწევს მათ მუშა ხელის ნაკლებობის გამო. თ.

ქუთაისის რვა კლასიანი საკომერციო სასწავლებელი აცხადებს,

რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან იხსნება მეორე კლასი. მისაღები გამოცდები თავისუფალ ვაკანსიებზე მოხდება 23, 24 და 25 აგვისტოს. თავისუფალი ვაკანსიებია: უმცროს განყოფილებაში—20, უფროს განყოფილებაში—2—1 კლასში—2, მეორე კლასში—6.

სასწავლებლის მოწაფეთა ხელმეორე გამოცდა 26 და 27 აგვისტოს მოხდება, ამის სია თავის დროზე გამოკრული იქნება სასწავლებლის კანცელარიაში. 31 აგვისტოს დილის 10 საათზე გადახდილი იქნება პარაკლისი და 1 სექტემბერს დილის $8^1/_2$ საათზე დაიწყება მეცადინეობა. 2-1 266

ქ. ქუთაისში, გაღმა უბანში, ბაღის და პოდგორნი ქუჩებში

იყიდება ორსართულიანი სახლი 18 ოთახით და დაბლა ექვსი დუქნით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე ივანე კარტოზიასთან.

277 12—1

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვების და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ჩ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარექიშვი** ქალაქ. სავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მ ო ს ე შ ვ ი ლ ი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

## მსოფლიო ომი.

### დ ე პ ე შ ე ბ ი

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**ბრძოლა ჩრდილოეთ ზღვაში**

**ლონდონი.** 7 აგვისტო. ოფიციალური ცნობა ბრიტანეთის საადმირალო შტაბისა. ჩვენმა ესკანდრონის მზვერავებმა და სხვა გემებმა აღმოაჩინეს მტრის გაძლიერებული მოქმედება ჩრდილოეთ ზღვაში. გერმანეთის ოკეანეს ფლოტი გამოვიდა ზღვაში, მაგრამ ჰგაიგო რა მზვერავთა საშვალებით, რომ ზღვაში იმყოფება მნიშვნელოვანი ძალა ინგლისელებისა, აღარ მიეცა ბრძოლას და დაბრუნდა ნავთსადგურში. მტრის ძებნის დროს ჩვენ დავკარგეთ 4 მსუბუქი კრეისერი წყალ-ქვეშასთან შეტაკების გამო. მათგან კრეისერი „ნოტტინგამ-“ი იმყოფებოდა კაპიტან მილლერის ხელმძღვანელობის ქვეშ, კრეისერი „ფალმუტი“ კაპიტან ოდვარსის ხელმძღვანელობის ქვეშ. ყველა აფიცრები გემის „ნოტტინგამის“ გადარჩენილია. სულ სათვალავს აკლია 38 კაცი. მტრის ერთი წყალ ქვეშა დაიღუპა. გერმანელების ცნობა ვითომც დაღუპვეს ბრიტანეთის კონტრნაღმოსანი—საფუძველს მოკლებულია.

**პეტროგრადი. (ოფიციალური)**

8 აგვისტო. ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად კეთილინება 15 აგვისტოსთვის დანიშნული მოწვევა პირველი და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა გადაიდოს.

25 აგვისტოს მოწვეული იქნებიან მხოლოდ 1905, 1904 და 1903 წლის მეორე ხარისხის მოლაშქრენი.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 7 აგვისტო. ოფიციალური ცნობა იტალეთის ბინისა. ასტიკოს ვაკეებში ჩვენი ბატარეია ენერგიულათ უპასუხებდა მტრის არტილერიის სროლას. აზიაგოს მაღლობებში ჩვენ უკუ ვაქციეთ რამდენიმე მცირე იერიშები. ასის მარჯვენა ნაპირზე პლავის რაიონში ჩვენ მოვიგერიეთ რამდენიმე იერიში, და წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე.

**ლონდონი.** 6 აგვისტო. ოფიციალურათ იტყობინებიან რომ მთავრობამ გადასწყვიტა დაბრუნებულ იქმნას ინგლისში მთავარ სარდალი ინდოეთის ჯარის გენერალი სორა. სორას მოადგილეთ ინიშნება სერ ჩარლზ კარმანალ მოირო.

**ლონდონი** 8 აგვისტო. გენერალ გოსკინსკის ჯარი აღმოსავლეთ აფრიკაში უგურის მთასთან ღამით 3 აგვისტოს შეეხეჩა გერმანელების ჯარს, რომელიც მდინარე ვამის ნაპირებს იცავდა. ბრძოლა თითქმის მეორე დღის შუაღამემდის არ შეწყვეტილა. გერმანელებმა უკან დაიხიეს.

განთიადისას 5 აგვისტოს ინგლისელებმა ხელთ იგდეს მდინარე ვამის ნაპირები, სადაც ხიდებს აკეთებენ. ამავე დროს გენერალ-ვანდევენტორმა მძლავრი იერიშით დიდი ზიანი მიაყენა გერმანელებს სად. კიდეტესთან მპანუას სამხრეთით და უკან დაახევინა სად. მოაგარამდის. ამ ჟამად გენერალი ვენდევენტერი კილოსს უახლოვდება. ინგლისელებმა ხელთ იგდეს აგრეთვე განდერის მიდამოები და დარესალამს უახლოვდებიან.

**ლონდონი** 9 აგვისტო. ისრიშირში აფეთქდა სამხედრო მასალების დამამზადებელი ქარხანა. დაწვრილებით ჯერ არ იციან, მაგრამ ზარალი და მსხვერპლი დიდი უნდა იყოს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

საბერძნეთის მეფის მემკვიდრე ნიკოლოზმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი შტიურმერი, რომელსაც ერთს საათზე მეტი ესაუბრა ამ საუბარს სხვადასხვა საპოლიტიკო წრეები დიდ მნიშვნელოვნათ სთვლიან

— —

ინგლისის მეფე გიორგიმ მთელი კვირა დაჰყო ბრიტანიის ასპარეზზე, დაათვალიერა ბრძოლის ველი, სანგრები და დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჯარში. იქ ყოფნის დროს მეფემ ინახულა ბელგეთის მეფე, პრეზიდენტი პუანკარე და საფრანგეთის მთავარ-სარდალი ჟოფრი.

— —

პალატაში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მოკავშირეთ მრავალ იარაღებს უგზავნის ინგლისი, მისი აზრით მომავალ წელს ინგლისს უფრო მეტი იარაღი ექნება, ასე რომ გერმანიის დამარცხება აუცილებელიაო.

— —

გერმანული გაზეთების ცნობით ინგლისს განუზრახავს 50 მილიონი გირვანქა სტერლინგის სესხად აღება ამერიკაში.

— —

ასკვიტი მხურვალე მადლობას უცხადებს ინგლისელ ქალებს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ეხლანდელ ომში. მისი აზრით ქალებს სრული უფლება უნდა მიეცეს საარჩევნო საქმეში.

— —

მოსკოვში დაატყვევეს პოდელიახოვი, რომელიც რუსეთიდან გერმანიაში ოქროს ეზიდებოდა. მას აღმოაჩნდა ოსმალეთის პასპორტი. აგრეთვე დაატყვევეს მრავალი პირი, რომელნიც პოტელიახოვის ორგანიზაციაში მუშაობდა.

— —

იაგოვი და ბეტმან-ჰოლვეგი, რომელნიც პოლონეთის საკითხის კრებას დაესწრენ ბერლინში დაბრუნდენ.

— —

კრაკოვიდან იუწყებიან, რომ ავსტრიის მთავრობა პოლონელებს ეძახის არა რუსეთის ქვეშევრდომთ, არამედ ქვეშევრდომთ პოლონეთის მომავალ სახელმწიფოისას.

— —

პოტელიახოვის დატუსაღების შესახებ გაზეთი „რუსკოე სლოვო“ უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა: მოსკოვის პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ბუხარელები სხვადასხვა დაბა-ქალაქებში აგროვებენ ოქროს ფულსა და შემდეგ ბუხარიიდან გერმანიაში გზავნიანო. შენიშნულ პირთა ოთახების ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს მრავალი საბუთები, რაც ნათელჰყოფდა გავრცელებულ ხმების სინამდვილეს. ტაშკენტში პინოსოფოვ-პინხასოვს უპოვეს 8000 მანეთის ოქრო. მოსკოვში პოტელიახოვის ბინაზე უპოვნიათ 26000 მანეთის ოქრო. პოტელიახოვი ამ დროს კავკასიაში ყო-

ფილა. მას უარი განუცხადებია წამოყენებულ ბრალდებაზე, მაგრამ საბუთები აშკარად ამტკიცებდა მის დანაშაულსა და მთავრობას დაუპატიმრებია, რადგანაც ამ ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებდა ისეთი კომერსანტი, როგორც პოტელიხოვია უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელებს მეტის მეტად ძვირად დაუჯდებოდა მათი მიმხრობა-მიკერძება.

— —

რეიტერის სააგენტოს ცნობით მეფის ბრძანებით მალე აღიკრძალება შვეციაში ყოველგვარ საქონლის გატანა.

— —

ჩრენციატინში არეულობა თანდათან მკაცრ ხასიათს ღებულობს. ჩინეთის ჯარის კაცებს ამოუწყვეტია იაპონიის ქვეითი ჯარის ორი რაზმი.

— —

ნიუიორკიდან იტყობინებიან, რომ წარმომადგენელთა პალატამ გადასდო 315 მილიონი დოლარი 16 დრედნოუტის ასაშენებლად.

— —

პრეზიდენტ ვილსონს უარი განუცხადებია ახალ სამხედრო სესხის გაცემაზე.

— —

საბერძნეთის საფოსტო გამგეობა აცხადებს, რომ ფოსტაში არ მიიღება გერმანეთში გასაგზავნი წერილები, რადგანაც გზები შეკრულია და გერმანეთში მიმოსვლა შეუძლებელიაო.

— —

ნაფიცი ვექილი ფურმანი, კონსული ბულგარეთისა, რომელიც კავკასიაში დაატყვევეს, ამ დღეებში ირკუტსკის გუბერნიაში გაუგზავნიათ.

— —

ბერლინის გაზეთების ცნობით, გერმანიას ეხლა უფრო კარგ პირობებში უხდება ბრძოლა, რადგანაც ქირნახულის მოსავალმა უზრუნველჰყო მათი საქმე.

— —

გაზეთ „რუსკოე სლოვო"-ს ცნობით ა. ი. გუჩკოვს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისთვის წარუდგენია პროექტი, სადაც ნათქვამია, რომ ხარჯის შესამცირებლათ შეიძლება რუსეთში შემოღებულ იქნას დანიაში მოგონილი ფეხსაცმელები, რომელთაც ხის ძირი აქვს, რადგანაც უფრო გამძლეა და იაფადაც ღირსო.

---

## † ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა

5 მარიამობისთვეს ულმობელმა სიკვდილმა შეიწირა კიდევ ერთი დიდი მამულიშვილი — ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.

მაგრამ სიკვდილმა სძლია მხოლოდ ხორცს. სულმა კი უკვდავება მოიპოვა.

ანდერძი, რომლითაც განსვენებულმა თავისი ქველმოქმედება დააგვირგვინა, ქართული ერის ისტორიაში წარუშლელ კვალად აღინიშნება.

ამ ანდერძით მან ყველა ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებას სული ჩაუდგა და სიცოცხლის უნარი მიანიჭა.

ის ფაქტი, რომ თითქმის მთელი თავისი დიდი ქონება — სამ მილიონამდის — ერს უანდერძა, რა დიადსა და წრფელ მამულიშვილობასა და რა დიდსულოვნებასა და კეთილშობილებას მოწმობს.

რა დიდი ადამიანი დავკარგეთ!

მაგრამ ნუგეშად ის დაგვრჩენია, რომ ის ერი, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ეკატერინესთანა მამულიშვილი და რომელსაც, მაშასადამე, ასე დიდი ძლითი ზნეობრივი ენერგია დამარხული აქვს, არ მოკვდება და მრავალ ზნეობრივსა და კულტურულ ღირებულებას შეიცავს.

ამგვარად, განსვენებულის ანდერძის პირდაპირ დანიშნულებას კიდევ ზნეობრივი მნიშვნელობაც ზედ ერთვის, რადგან მან ჩვენი გატეხილი გული გაამთელა და უსასოობა იმედად შესცვალა.

დიაღ! მისი საქმე მაგალითად, მაჩვენებელ ლამპრად მოგვევლინა, მოქმედებისადმი გვაქეზებს და სულის მხნეობასა და ენერგიას გვიათკეცებს. და გვწამს, რომ მის ანდერძს პირნათლად შევასრულებთ.

კურთხეულ იყოს მისი სახელი და საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ვასილ წერეთელი.

---

# ახალი ამბავი.

— —

✦ მარხვის გარშემო. რადგანაც მთავრობის განკარგულებით კვირაში ოთხი დღე მარხვა არის. შეუდგენ სასურსათო ახალი ზომების შემუშავებას. პეტროგრადიდან გამოგზავნილ იქნა კავკასიაში გამოცდილი თევზის მოვაჭრეები, რათა დაათვალიერონ პალიასტომის ტბა და გამოიკვლიონ, რამდენი ფუთი თევზის დაჭერა შეიძლება ამ ტბაში.

თევზების ხელოვნური გამრავლება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე ტბებში განძრახულია მოაშენონ თევზი, რათა ხორცის შემოკლების შემდეგ ხალხმა დანაკლისი თევზით აინაზღაუროს.

✦ კოოპერატივების თხოვნა. ქუთაისის ქალაქის გამგეობის სახელზე მოსული შაქარის ნაწილი ითხოვეს ადგილობრივმა კოოპერატივებმა. რათა მათაც ექნეს საშუალება მიაწოდონ ხალხს შაქარი ხელმისაწდომ ფასებში.

✦ მასწავლებელთა კურსებზე. ქუთაისში შემდგარი მასწავლებელთა კურსები როგორც გადმოგვცენ არც ისე შინარსიანი გამოდგა როგორც მოველოდით. ლექციებთა შორის გამოტოვებულია ფრიად საყურადღებო საგანი ჰიგიენა.

✦ ნიხრი ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით დაინიშნა პირველ საჭიროების სურსათზე შემდეგი ნიხრი: მეორე ხარისხის პური — 22 კ. მესამე ხარისხის — 20 კ., თორნის მეორე — 23 კ. მესამე — 21 კ. ხორცი პირველი ხარისხის — 25 კ., მეორესი — 23 კ., ბრინჯი გირვ — 28 კ., ვერმიშელი — 21 კ., ლობიო — 9 კ., კარტოფილი — 4 კ., ხახვი — 8 კ., პამიდორი — 3 კ., ტარანი — 25 კ., შაქარი ნატეხი — 21 კ., ფხვნილი — 18 კ. კვერცხი ასეული 4 მანეთი, სიმინდი ფუთი — 1 მ. 60 კ., პურის ქვილი № 3 — 18 მ 75 კ., № 4 — 18 მ. 50 კ., № 5 — 18 მ. 25 კ., № 6 — 18 მ, № 7 17 მ. 75 კ.

✦ გადამალული ასანთი. ალექსანდრეს ქუჩაზე პოლიციამ თევდორაძის სახლში აღმოაჩინა 60 ყუთი გადამალული ასანთი და საპონი. საქონელი, როგორც გადმოგვცემენ, პოლიციამ პატრონებს ჩააბარა.

✦ პურის სიცოტავე. ამ ჟამათ ქ. ქუთაისში პური ნაკლებად იშოვება და არცკი მე მოელის ამ დღეებში გამოწერილს პურს. ქუთაისის ქალაქის თავმა ი. მ. ჩიქოვანმა დეპეშით სთხოვა ბ. ორლოვს, რომ მიიღოს რაიმე ზომები სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად ბ. ორლოვისა და შაჰკოვსკის შემწეობით ქუთაისში მოსალოდნელია პურის კრიზისმა მალე გაიაროს. თბილისის თვითმართველობამ ქუთაისს გამოუგზავნა ერთი ვაგონი ფქვილი.

✦ ეკონომიური თათბირი. 25 აგვისტოს პეტროგრადში გაიმართება სრულიად რუსეთის ეკონომიური თათბირი. ეს თათბირი გამოწვეულია სასოფლო სამეურნეო აღწერის დამთავრებით. ამ თათბირზე გამოირკვევა თუ რა მდგომარეობაა შექმნილი სასურსათო საქმის გარშემო.

✦ კურსების გადადება გეოგრაფიის კურსები, რომელიც უნდა შემდგარიყო ოლქის მზრუნველის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის გადაიდვა რამდენიმე ხნით.

✦ მასწავლებელთა ყრილობა. უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებელთა მასწავლებლების კრება, რომელიც უნდა შემდგარიყო ქ. ქუთაისში 25 აგვისტოს, ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორის განკარგულებით გადადებულ იქნა უფრო მოხერხებულ დროისთვის.

✦ მასწავლებელთა გადაყვანა. ამ ბოლო ხანებში სახალხო შკოლების დირექტორის სახელზე მოდის მრავალი თხოვნა მასწავლებელთა მიერ გადაყვანის შესახებ. რადგანაც ადგილის გამოცვლა დღევანდელ პირობებში ძლიერ უხერხულია. დირექტორმა გასცა განკარგულება, რომ მასწავლებლები ნუ ითხოვენ გადაყვანას, თორემ ყოველივე ამ გვარი თხოვნები უყურადღებოთ დატოვებული იქნებაო. მასწავლებლები გადაყვანილი იქნებიან მხოლოდ საშკოლო მთავრობის განკარგულებით.

✦ ქალთა გიმნაზია. ოლქის მზრუნველმა ოფიციალურად ნება დართო გახსნას ქ. ქუთაისში ქალთა ქართული გიმნაზია „სინათლე". ამ გიმნაზიაში ყველა საგნები ქართულათ ისწავლება.

✦ კირილე ძოძუაშვილმა გადასცა საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას სამი ძველი ფული: ერთი არაბული ვერცხლის, ორი რუსული სპილენძის. და პატარა ქართული სახარება 1709 წ. დაბეჭდილი.

✦ შკოლის გახსნა. დაბა ხონის მცხოვრებლებმა ერილობაზე გამოიტანეს დადგენილება გახსნას აქ უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი.

✦ შემოწირულება სოფელ საყულიის მცხოვრებმა გიგო არეშიძემ ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირა ახალი აღთქმის წიგნი 1818 წელში დაბეჭდილი.

✦ შუამდგომლობა. საერობო აგრონომმა ვასილევსკიმ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რათა განთავისუფლებული იქნენ სამეურნეო აღწერისათვის საჭირო პირები ამ საქმის შესახებ წარდგენილ სიაში შეიძენ ეველა გადამწერი რეგისტრატორები, სარაიონო აგრონომები, საქმის მწარმოებელი და კანცელარიაში მომუშავე პირები.

✦ წ. კ. საზ. ბათომის წ. კ. საზოგადოების გამგეობამ ქალაქის თვითმართველობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ქალაქმა განთავისუფლოს საზოგადოების შკოლის სადგომი, რომელშიაც ამ ჟამათ სავათმყოფოა მოთავსებული.

✦ უსუფთაობა. კაზაკოვის შესახვევის მცხოვრებნი გვთხოვენ გამოვაცხადოთ რომ ამ ქუჩაზე არ არის დაცული არავითარი სანიტარული წესები. საჭიროა ქალაქის ანიტრებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

✦ ავათმყოფობა. ქუთაისში 1—8 აგვისტოს ტიფით ავად გახდა 3 ...... ... 2, მუცლათი 4 ...... ... ... შორის გარდაიცვალა ... .

✦ წარმოდგენა. არქიელის გორაზე გამართულ წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

✦ უვარგისი ფქვილი. ახალი ჩამოტანილი ფქვილის ნიმუში გადაეცა ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგეს შესაფერი ქიმიური გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა რომ ფქვილში შერეულა ბევრი სხვა ნივთიერება.

✦ ქალაქის სანიტარმა კორძაიამ მიიტანა ლაბორატორიაში დექვინაძის ფურნეში გამომცხვარი პურის ნიმუში, რომელიც უვარგისი აღმოჩნდა.

### პროვინცია.

— მომხმარე საზოგადოება სოფელი ზნაკვის, რაჭის მაზრა, მცხოვრების რწმუნებულნბმა დავით ბაკურაძემ, ბიქტორ ტურაბელიძემ და ივანე მურუსიძემ შუამდგომლობა აღძრეს ქ. ქუთაისის გუბერნატორის წინაშე დაარსონ ზნაკვში მომხმარებელი საზოგადოება.

— ძარცვა სამტრედიიდან ხონისაკენ მიმავალ ყავრის გამყიდველებს თავს დაესხენ ვილაც უცნობი პირები და წაართვეს ყავარში აღებული ფული თვრამეტი თუმანი ყაჩაღები დაიჭირეს 30 ივლისს საკათიანეთში მიმავალ ეტლს, რომელშიაც ისხდენ ვლ. თურჯია, და თავ. ოლღა ფარნაოზის ასული და დიანისა დახვდა ორი შეიარაღებული ავაზაკი. თურქიას წაროვეს რევოლვერი, მეეტლეს 19 მანეთი ავაზაკები მიიმალნენ.

— კონცერტი. დ. ხონში სანდრო კავსაძემ გამართა მუსიკალური სალამო, რომლის შემოსავალი იყო 300 მანეთამდე. შემოსავლის ნახევარი გადაეცა მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების.

— ბარიტის დამუშავება. სოფელ ლეყერეთის ქუთ. მაზ. მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ბ. ქუთაისის გუბერნატორთან რათა ნება მიცეს მათ დაიმუშავონ ბარიტი, რომელიც ამ სოფელში ძლიერ ბევრი მოიპოვება.

— ბორჯომი. წელს ბორჯომში თბილისიდან გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომელიც ათვალიერებს სამკურნალო ადგილებს, კომისიამ გადასწყვიტა, რომ ბორჯომს პირველ ხარისხოვანი აგარაკის ადგილი უნდა მიენიჭოს და იქნეს მთავრობისგან მიღებული ზომები რათა გალამაზდეს და გაფართოვდეს ზემოხსენებული აგარაკი.

— ტრაპიზონში. ტრაპიზონის რაიონის უფროსმა ახლათ დაპყრობილ ადგილების

---

# სომხები საქართველოში.

(ისტორიული საბუთები).

### I

დასავლეთ აზიაში მრავალნი პატარა სამთავროები არსებობდენ უძველეს დროიდგან, რომელთაგან, ჟამთა ვითარების მიხედვით — ხან ერთი გაძლიერდებოდა, ხან მეორე; მაგრამ მათშორის გამუდმებულმა მტრობამა და შუღლმა არ იქნა ერთი ძლიერი სახელმწიფო ვერ შეასისხლხორცა პირ იქით, რიგ-რიგად ბატონობდნენ ძლიერი მეზობლები — სპარსნი, ბერძნები, რომაელნი და სხ. ბოლოს კი აქ ბატონობა ოსმალებსა და სპარსებს შერჩათ ამათგან ბევრი სამთავრო გავერანდა და უდაბნოთ გადაიქცა: შემოსულს მტერს ვინც ცოცხალი გადაურჩებოდა, აქეთიქით იქსაქსებოდა ცოლშვილით და მეზობელ ქვეყნებში თავს აფარებდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თავგამოდებით უმკლავდებოდა ქართველი ერი ზედ-მისეულ მტრებსა მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე და ამ დროს მცირე აზიის დამხობილ სამთავროთა დაწიოკებულნი მკვიდრნი მრავლათ მოდიოდნენ და ეკედლებოდნენ ქართველი ერის საფარველსა. მსოფლიო ისტორიაში ვერა ვხედავთ მეორე მაგალითსა, რომ სხვა რომელსამე სამეფოს ჩაგრულ-დევნილი ხალხი შეეფარებინოს და ისე ძმურათ გამასპინძლებოდეს, როგორც საქართველო. დღეს დედამიწის ზურგზედ გაფანტულ არიან მცირე აზიის ძველი სამთავროების მკვიდროთა შთამომავალნი — ებრაელნი, სომეხნი, ასურნი, ქურთნი და სხ. და თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქართველოის — თანა მშვიდობიანი და მადლიანი ბინა დღემდე არსად — სხვაგან ერ შეხვედრიათ ხომხებსა და ებრაელებსა. ქართველი ერი ერთსაც და მეორესაც ძმურად უზიარებდა თავის ავლა დიდებასა, შინაურ ჭირვარამსა და შვება-სიხარულსა და მათი დარბევა, საუკუნეთა განმავლობაში, ქართველ ერს ერთხელაც არ უკადრნია თუმცა ქართველ ერს მათგან უმადლობისა და ღალატის მეტი არა უნახავს რა, ბევრჯელ სპარსთა მძლავრობის დროს სომეხნი ხშირად სპარსებს ეშველებოდნენ ქართველ-ბერძენთა წინააღმდეგ, მაგრამ ქართველ ერს სიმართლე იფარავდა ხოლმე...

იმ თავითვე სომხებსადა ებრაელებსა მიჩერებული ჰქონდათ თვალ საჩინო სავაჭრო ადგილები ქართლ-კახეთში და დღემდე თავისუფლათ სცხოვრობენ.

საუკუნეთა განმავლობაში სომეხნი და ებრაელნი ერთხელაც არ ყოფილან აბუჩათ აგდებულნი, ცილდაწამებულნი და დევნილნი — აკლებულნი, როგორც სხვა ქვეყნებში. დავით აღმაშენებელის და გიორგი მესამის დროს მრავალი სომეხი გადმოსახლდა საქართველოში (არღუთაანი, თუმანიანი, ყაითმაზაანი, ყორღანაანი და სხ.) და დაბინავდა — თბილისში, გორში, დუშეთში; უფრო ბევრი როსტომ მეფის დროს XVII საუკ. თეიმურაზ — ერეკლეს დროს ხომ ქართლ-კახეთი აღივსო სომხობით — შულავერი, სიღნაღი, თელავი, ველისციხე, ცხინვალი, მუხრანი. დღესაც ხელში უჭირავთ ეს მაგარი სტრატეგიული და სავაჭრო ცენტრები. იმ დროს ქართველი მეფენი თავის ამაყობდენ იმითი, რომ ზედმისეულ მტერს ებრძოდნენ და თავს აკლავდნენ, შემოხიზნულნი მყუდრო ალაგას გახურებულ ბუხართან ისხდნენ და ყოველ-დღიურ დახლს ანგარიშობდნენ. ქართველი ერი ძველ დროიდგანვე მხნელ-მთესველი და მევენახე „მიწის მუშაკი" ხალხი იყო, სომხნი კი ვაჭარნი ესრეთი განაწილება შრომისა და საქმისა უწინვე მკაფიოთ გამოითქვა ანდაზით — „ქართველს გუთანი, სომეხს დუქანი",ო

### II

სომეხთა უკანასკნელი მეფეი ლეონ VI რუბენიანი ოსმალებმა განდევნეს კილიკიიდგან ისპანიაში 1376 წ. და მრავალ ტანჯვა-ვაების შემდეგ პარიზში მიიცვალა 1393 წელსა. მას აქეთ ოსმალეთს უჭირავს სომეხთა სამშობლო მიწა წყალი; მას აქეთ სომეხნი ოსმალეთის ძძიმე უღელს ქვეშე კვნესიან და ოდესმე შველას მოელიან მიეთ-მოეთ ევროპის ოლიტიკოსთაგან. მტარვალთა უღელ ქვეშე დიდის ხნით მონობამ, და ტანჯვა-ვაებამ სომხობას სისხლ ხორცში ჩაუნერგა დაუნდობლობა, სიკეთის დაუნახაობა. მიზეზი ეს არის, რომ სომხებმა საერთო თანაგრძნობა და გულშემატკივრობა დღემდე ვერსად მოიხვეჭეს და ყველგან სიძულვარესა და მიუკარებლობას იწვევენ.

რამდენჯერმე საქართველოს ასაკლებათ მოსული დიდის მხედრობით ლანგ-თემური მეფე გიორგიმ, ორჯელ მოციქულის პირით და ორჯელაც თავის ძმის კონსტანტინეს ძლევად გაგზავნით, დაამშვიდა, გული მოულბო და გააბრუნა. ბოლოს გიორგის ულალატა სომხეთის (მანგლისის მხარეს) თავადმა ისაიამ, მივიდა „შიშითა შეპყრობილი" ლანგ-თემურის შვილშარუხთან, შეაბრალა თავი და ახალგაზდა მშვენიერი ქალიშვილი მიათხოვა შარუხის ძმას აბუ-ბექირს. ბოლოს ლანგ-თემური ქურთისტანიდგან მობრუნდა და ხელახლა საქართველოს ასაკლებათ. გიორგი მეფემ სომხითელი ისაია მიაგება ძღვენით, მაგრამ ... მაგიერ, ლანგ-თემური შემოესია ქართლსა და ერთიანად ააოხრა და (ყველაფერი გადაბუგა.*)

*) იხ. ქ.—ცხ. 1, გვ. 463—469.

1569 წ. ყეენის ბრძანებით განჯა-შემახიის ბეგლარ ბეგები მრავალი ჯარით მოუხდნენ სიმონ მეფეს ფარცხისს. ბრძოლის დაწყებამდე „განდგა ყორღანაშვილი კახაბერ და გულ-დებულ ჰაყენა ყიზილბაშნი მეფესა ზედა, რამეთუ აქუნდათ მათ შიში დიდი, მოუძღვა იგი (ვაზაბერი) და ეწყო მეფე ფარცხისს მათ, იყო ბრძოლა სასტიკი და მისწყდნენ ურიცხვნი თათარნი და ივლტოდნენ ფიცხლად. არამედ მეფე კადნიერებით მიეტევა გუნდსა მათსა, ჰკრა ოროლი მხედარსა და მოსპო იგი და განხეთქა გუნდი მათი და მიეტევა სხვასა, იცნა მეფე კახა-ბერ ყორღანაშვილმან და ეტყოდა ყიზილბაშთა — „ეგე არს მეფე, შეიპყარით", მასვე წამსა გარემოერტყნენ და შეიპყრეს მეფე სვიმონ ძლიერად მბრძოლი... და მიგვარეს შაჰთამაზსა".*)

სპარსთა ვერაგმა პოლიტიკამ 1680 წ. ქართლ-კახეთი ერთმანეთს წაჰკიდა. 1688 წელს ქართლის მეფეს გიორგის გაქცევის დროს ულალატა მდივანმა შიომ თუმანისშვილმა, გაიპარა და კახბატონ ერეკლე (ნაზარალიხანთან) მივიდა და მშვიდობის ჩამოგდების მაგიერ უაღრესათ გადავიდა ერთმანეთს მეფენი, სპარსთა გასახაროთ. თუმცა მდივანი გივი თუმანისშვილი ბევრს აყვედრიდა და ურჩევდა შიოს ხელი აელო ესრეთს სამარცხვინო საქმეზედ, მაგრამ ვის ეყურება? თუმანისშვილები, რასა ჰკარგავდნენ: გიორგი მეფე დამარცხდებოდა, თუ ერეკლე I) სულ ერთი იყო — ქართლში გივი აკეთებდა თავიანთ საქმესა, კახეთში შიოში. ამ ღალატისა გამო ვახტანგ VI მეფობაში თუმანისშვილები წინანდელივით ეგრე რიგათ ვეღარ იყვნენ დაახლოვებულნი მეფე კართან, მეტადრე რაკი შიოში ისევ კახბატონებთან მსახურებდა. მცირედი წილი არ უძევს შიოს ქართლ-კახეთის მეფეთა ხელახლავ გადაკიდებაში. თბილისში რომ ოსმალნი გაბატონდნენ თუმანისშვილები ფეხზე დადგნენ და იმათი პასუხის მიმცემი არავინ იყო ერთის გივი ამილახორის მეტი. ამილახვრები, ორბელიანები, მუხრანბატონები დაამდაბლეს ოსმალებმა. ბოლოს ხომ გივიმ ულალატა ოსმალებს და ამიტომაც გორში მეციხოვნე ჯარი ამოწყვიტა. 1735 წ. ღვინობისთვეში ოსმალნი გავიდნენ ქართლ-კახეთიდგან და ნადირშაჰი შემოვიდა. ამ დროს გივი ამილახორი, თეიმურაზი და სხ. თავადნი გარიდებულნი იყვნენ ყიზილბაშთაგან. მალე წავიდა შაჰნადირი დაღისტნისაკენ, მერე სპარსეთისაკენ და თავის მოადგილე სულთანი სეფიხანი დასვა თბილისში. ბარძიმ არაგვის ერისთავი, შანშე ქსნის ერისთავი და სხ. ძლიერნი თავადნი კი თავადნი კი განზე იყვნენ გამდგარნი. ამ დროს თუმანის შვილები იყვნენ ჩვეულებრივ დაბინაურებულნი სეფხანთან. სურამის მხარეს სეფიხანი რომ ვახუშტი აბაშიძემ დაამარცხა 2 ივლისს 1736 წ. შიშისაგან თავზარ დაცემული სეფიხანი თუმანისშვილებმა მიიპატიჟეს ხელთუბანში და კარგათაც გაუმასპინძლდნენ: დიდი ფიცით და ოსტატობით მიუპატიჟეს — თეიმურაზ ბატონისშვილი, გივი ამილახორი თარხნისშვილი ლუარსაბი, თამაზ „ანდრონიკაშვილი, არაგვის ერისთავი ბარძიმი, გივი ჩოლაყაშვილი, ქაიხოსრო ჩერქეზისშვილი და სხ. სეფიხანმა თუმანისშვილების დახმარებით ესე მოწვეულნი დიდებულნი „ერთპირათ დაიჭირა და გაგზავნა ქალაქს (ციხეში", *) მერე სპარსეთში. პეტრე დიდის (...) და შემდეგ რუსეთში სომხებმა დაიწყეს პოლიტიკური მოქმედობა სომხეთის აღდგენისათვის, სხვა-

*) იხ. ქ.—ცხ. II, გვ. 27.

*) იხ. ქ—ცხ. II, 341 გვ.

მცხოვრებთა მიმართ ბრძანება გასცა, რომ მოსპობილ იქნეს ყაჩაღობა და მცხოვრებთა ძარცვა. აქ მცხოვრები ოსმალონი სომხები და ბერძნები გამოცხადებულ იქნენ რუსეთის ქვეშევრდომებათ და მათ შორის ყოველივე შუღლი მოსპობილ უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ციმბირში გაგზავნილ იქნებიან, ანდა სიკვდილით დაისჯებიანო. მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ იმ მეჩეთებში, რომელნიც გადაკეთებულია ქრისტიანეთა საყდრებიდან აკრძალული იქნეს მაჰმადიანთა წირვა-ლოცვა.

# გელათში.

წელს გელათის მონასტერში იქაური სიძველეების შესასწავლათ მუშაობდა რუსეთიდან ჩამოსული კომისია, რომელსაც მეთაურობდა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ცნობილი არხეოლოგის თეოდორე შმიდტის ასისტენტი დიმიტრი გორდეევი.

ბ. გორდეევის მიზანი იყო შეესწავლა გელათის სიძველეები განსაკუთრებით მხატვრობა, როგორც კედლებზე (фрески), ისე ხატებზე (металопластика) და წიგნებში (миньятюры). მხატვრობის დარგში გორდეევი ეძებდა ბიზანტიის ხელოვნების გავლენას ქართულ ხელოვნებაზე. ვინაიდან ბიზანტიის საუცხოვო ხელოვნება სხვათა შორის მინანქარის (эмаль) მორთულობაშიც გამოიხატება ამიტომ გორდეევის ყურადღება გელათის ხატების მდიდარმა მორთულებამ კიდევ უფრო მიიპყრო.

თუმცა გორდეევი სამი კვირა მუყაითათ მუშაობდა, მაგრამ ეს დრო საკმაო არ იყო, რომ მას თავისი აზრი სავსებით გამოეთქვა ამა თუ იმ ნაშთზე განსაკუთრებით. მან შეკრიბა დიდძალი მასალა და მომავალი სამუშავო პლანი შეადგინა, ასე რომ გორდეევის მუშაობა—კვლევა—ძიება—კიდევ რამდენიმე ზაფხული უნდა გაგრძელდეს, რომ მან თავისი აზრი და საბუთებული და მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული წარმოსთქვას. ჯერჯერობით კი რაც მისმა დაკვირვებამ გამოარკვია მოკლეთ არის შემდეგი.

გელათის მხატვრობა კედელზე, ხატებზე (ხისაა იგი თუ ლითონის და ქაღალდზე (ხელთნაწერ წიგნებში), წარმოადგენს საუცხოვო მდიდარ მასალას, რომლის შესწავლაც საშუალებას მისცემს მეცნიერს ბიზანტიის მხატვრობა, სავსებით გამოიკვლიოს. როგორც ვიცით თვით საბერძნეთში აღარ არის ისეთი ნაშთები, რომელთა საშუალებით შეიძლებოდეს სავსებით აღიწეროს ბიზანტიის ძველი ხელობა, ამიტომაც იძულებული ვართ ბიზანტიის ხელოვნება შევისწავლოთ იმ მასალებზე, რომელნიც დაცულია იტალიაში, გოლანდიაში, რუსეთში და კავკასიაში.

დღევანდელი კედლის მხატვრობა გელათში წარმოადგენს სხვადასხვა ეპოქის მხატვრობის კოლექციას. აქ ვხედავთ მხატვრობის სხვადასხვა რიგს (стиль). უძველესი და საუკეთესო რიგის მხატვრობა არის ბერძნული ხელოვნების ნაშთი—მეორე ხარისხოვანი კი სირიის ანუ მცირე აზიისა. ბერძნულ ხელოვნებაში პირველი ადგილი უჭირავს საკურთხეველის ცაში (ниша) მოთავსებულ მხატვრობას, სადაც გამოხატულია შუაში ღვთის მშობელი და იქით-აქეთ ორი მთავარანგელოზი. ეს მხატვრობა გაკეთებულია სოფიას კენჭით (мозаика). სოფიას კენჭით კედელზე სახეების და ტანის გამოხატვა ერთი სასახელო დარგი იყო ბერძნული ძველი ხელოვნებისა. ამ ხელოვნების საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ კენჭები ისეთი მოხერხებითაა შეზავებული და მოწყობილი, რომ როგორც მოსახატავი ადგილი (фонъ.), ისე სახეები და სახის ყოველი ნაწილი შესაფერი ბუნებრივი კენჭის ფრით არის გამოხატული. უბრალო მნახველი კი არა მხატვრობის მცოდნეც ვერ არჩევს დღეს რა ოსტატობით არის ეს მოწყობილი ძნელი სათქმელია სად ბუნებრივი კენჭია სად ხელოვნური და რა ნივთიერებით (კენჭით თუ საღებავი წამლით) არის გამოხატული ესა თუ ის ნაწილი ადამიანის სახისა ანუ ტანისა

ეს მხატვრობა, რომელიც ჩვენდა საბედნიეროთ გელათში უვნებლათ შენახულა იშვიათი ნაშთია მსოფლიო ხელოვნებაში, რადგან ამგვარი მთელ დედამიწაზე ორიოდაა, ერთი ჰოლანდიაში და მეორე იტალიაში. ეს მხატვრობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი მხრივ მიტომ, რომ ტეხნიკურათ მშვენიერი, საუცხოვო ნამუშევარია და მეორე მხრივ სახესა და გამომეტყველებაში დიდი სინამდვილეა დაცული. ამ მხატვრობის სიმშვენიერე ენით აუწერელია, როგორც ამბობს გორდეევი.

მეორე საყურადღებო მხატვრობა არის გუმბათში; გუმბათში დახატულია მაცხოვარი. ეს მხატვრობა ხელოვნებით სხვასთან შედარებით დაბლა სდგას და საყურადღებო მით არის რომ ეს აზიის მხატვრობის რიგისაა, თვით ადათი გუმბათში მაცხოვრის დახატვა აზიურია და არა ბერძნული.

კედლებზე, როგორც ზევით ვსთქვით სხვადასხვა დროის მხატვრობაა, რაც თვალსაჩინოთ მტკიცდება ხელობის სხვადასხვაობით. ეს გარემოება ცხადათ გულისხმობს რომ ოსტატიც სხვადასხვა მიმართულების და მიმდინარეობის გამომხატველი ყოფილა. ეს დებულება იქიდანაც მტკიცდება, რომ საკურთხეველშიდაც და გუმბათშიდაც მთელი წირვა (ლიტურგია) არის გამოხატული, მაშინ როდესაც ერთ ეკლესიაში ერთი ისტორიული ამბავი არასოდეს ორჯერ არ იხატებოდა. ეს ერთგვარი დისციპლინა იყო ძველი მხატვრობისა და ამას არსად არ არღვევდენ. წირვის მხატვრობაში ერთი დამახასიათებელი განსხვავებაც აღნიშნა გორდეევმა, რაც გვეუბნება, რომ ეს მხატვრობა სხვადასხვა დროის არის აღსრულებული სხვადასხვა ოსტატისაგან (საყურადღებოა მიმართულების სხვადასხვაობა და არა მოხელის ანუ მხატვრის). ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მაცხოვარი ერთგან მღვდელმთავარის სახით არის დახატული, რაც ქვეყნიური გამოხატულების ნიშანია და მეორეგან კი სადათ-თავი სხივოსან რგოლში აქვს, რაც ზეციური გამოხატულების ნიშანია. პირველი გამოხატულება შედარებით ახალია არა უგვიანეს 14—15 საუკუნისა, მეორე კი არა უადრეს 12 საუკუნისა.

იმ აზრის დასამტკიცებელი საბუთები რომ შიგნით კედლის მხატვრობა სხვადასხვა დროს არის შესრულებული სხვაც ბევრი აღნიშნა გორდეევმა მაგრამ უფრო საყურადღებოთ მიიჩნია განსხვავება მთავარი ადგილების მხატვრობაში, როგორიცაა საკურთხეველი და გუმბათი.

გორდეევის კომისიაში იყო ერთი მცოდნე მხატვარი (ფოტოგრაფი) უმაღლესი განათლებით ბორ. ბრუდნევი, რომელმაც ბევრი საყურადღებო სურათები გადაიღო სხვათა შორის დიდის დაკვირვებით გადაიღო დასურათებული ძველი სახარებიდან 210 სურათი რაც ცალკე ალბომათ გამოიცემა

ბ. გორდეევის განცვიფრებას სხვათა შორის შეადგენდა მინაქარის სიუხვე მართახხულის ღვთის მშობლის ხატზე ეს ქვირფასი სიძველე იმდენია რომ დაფასებაც შეძლებელია

დიდი სიმდიდრე დაგვიტოვა წარსულმა, დიდი განძი შეგვრჩენია და რაც დრო გადის ეს ნაშთები კიდევ უფრო ფასდება.

ამ წერილში მე აღვნიშნე, რაც მხოლოდ გორდეევის აზრი და მუშაობის მოკლე ანგარიში, რაც შეეხება ჩვენს აზრს ჩვენი მხატვრობის შესახებ და იმას თუ რა გავლენა განიცადა ჩვენმა მხატრობამ რა ნასესხებია ჩვენს მხატვრობაში და რა ორგინალური ამის შესახებ გორდეევს არაფერი არ შეეძლო ეთქვა და ჩვენ ვეცდებით ეს სხვა წყაროებიდან გავაცნოთ მკითხველს.

ტრიფონ ჯაფარიძე

## პატარა ფელეტონი

**„იცნობენ ერთი მეორეს“.**

„მეოცე საუკუნეში, ამ ელექტრონისა და უმავთულო ტელეგრაფის ხანაში სხვადასხვა ეროვნებები ძლიერ დაუახლოვდენ ერთმანეთს და გაიცნეს ურთ ერთის ყოფა ცხოვრება“.

სქელი ჟურნალიდან.

ეს ამბავი რომ წავიკითხე შეუდექი ამ დებულების დამამტკიცებელი ფაქტების ძებნას, მივმართე სხვა და სხვა სახელმძღვანელოებს და ცნობილ პირებს და აი რა შევიტყვე:

1905 წელში ამბობს ერთი ცნობილი პირი—მე ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ნორვეგიაში წასვლა მომიხდა. იქ ბევრი საინტერესო ამბები გავიგონე სხვადასხვა ქვეყნებზე. სხვათა შორის ასეთი მაგალითი ვნახე:

I

ერთ სამხატვრო ჟურნალში იყო დახატული რუსეთის მაშინდელი „ახალგაზდა“ მწერლები მაქსიმე გორკი, ლეონიდე ანდრეევი, ნ. ტელეშოვი ალექს. სერაფიმოვიჩი, სკიტალეცი და თედორე შალიაპინი (ეს სურათი რუსეთში იყიდება დია ბარათებათ) ამ სურათის ქვეშ საგულისხმო წარწერა იყო:

„რუსეთის რევოლიუციონური კომიტეტი“.

II

თანამედროვე საშინელი ომის დაწყების 7 თვის წინეთ ერთ დიდ იტალიანურ გაზეთში საჯაროში წერდენ, რომ რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში არის ადგილი, სადაც მთელი გამგეობა ქალების ხელშიაო. თვითეულ თემს განაგებს ქალი უსტაბაში და ყველაზედ უფროსს ქვიან საშკა-რომელიც... კავკასიურ ხანჯალს ნიშნავსო..

იგივე გაზეთი აღნიშნავდა ერთ ამბავს და სწერდა „მოდონეთის დედა ქალაქ კიევში მოხდა ესა და ეს ამბავიო

III

ერთი რუსი მასწავლებელი რუსეთში მგზავრობის დროს მეკითხებოდა:

„ქართველები ხომ თათრულათ ლაპარაკობთო.“

მეორეც დამეკითხა: ქართველების სიმღერებში სიტყვები რასაკვირველია არ-არისო!!

IV

ამ რამდენიმე ხნის წინეთ საზღვარგარეული ჟურნალი ტრიბუნა ილიუსტრაცია“ სწერდა:

რუსეთში არსებობს 30 ათასი სამიკიტნო, რომელსაც ქვიან—

„პუში“

ყველა „პუბი“ მეფის საკუთრებას შეადგენს, „პუბში“ მსახურებს სახაზინო მოხელე რომელიც იტყუილებს შიგ ხალხს იმპერატორის სურათის ჩამოკიდებით“...ო

— —

ერთი იტალიური გაზეთი არწმუნებდა თავის მკითხველებს. პეტროგრადში—ძველ პეტერბურგში, ზამთრობით ქუჩებზე დადის ერთგვარი მანქანა, რომელიც ...ჰაერს ათბობს ქუჩებსა და ეზოებშიო

როგორც პატივცემული მკით... ხედავს. ეს ფაქტები სავსებით ადას... ბენ სქელი „ჟურნალის“ აზრ...

მახათ...

## ანდერძი

განსვენებულ ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას ანდერძი დაუტოვებია, რომლის თანახმად უნდა მიეცეს:

1) დიდუბის ეკლესიას 10,000 მან.

2) ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიას 2,000 მან.

3) დარიის მონასტერს ავლაბარში 50... მან.

5) დიღომის წმ. გიორგის ე... 1,000 მან.

5) ღვთის მშობლის ეკლეს... მან.

6) კალოუბნის ეკლესიას თ... 1,000 მან.

7) სიონის ეკლესიას 1,000 მ...

8) მცხეთის ეკლესიას 1,000 ...

9) მარტყოფის ეკლესიას 500 ...

10) წმ. ანტონის ეკლ... მან.

11) დიდი ლილოს ეკლ... მან.

12) სამების ეკლესიას თბ... მან.

13) მთაწმინდის (მამა დავი... სიას 500 მან.

14) სომეხთა წმ. სტეფანეს ... 500 მან.

15) „განათლების“ საზოგადოებ... სის და მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯი... ლის სახელობაზე ქალთა პროფესიონალ... სკოლის დასაარსებლად და შესანა... ავლაბარში 50,000 მან.

16) მოსკოვის ქართველთა საზოგად... ებას 10,000 მან.

17) ქართულ ფილარმონიულ საზო... დოებას 5,000 მან.

18) რუსეთის მოვენახეთა და მეღ... თა მეღვინეობის სადგურს ადესაში 5... მან.

19) კავკავის ქართულ სკოლას 10,0... მან.

20) თბილისის მომავალ პოლიტეხნიკუმს ანუ სხვა რომელიც უმაღლესი სასწავლებელიც იქნება ფიზიკურ კაბინეთის მოსაწყობად 50,000 მან.

21) მცხეთის სამთავრისის დედათა მონასტერს მისი სკოლის საჭიროებისათვის 5,000 მან.

22) ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას თავის საჭიროებათა გასაძლოლად 25,000 მან.

23) ქალაქ ქუთაისს საქალაქო თეატრის ასაგებლად 150,000 მან.

24) ქალაქ კავკავს ღარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის გასასტუმრებლად ეროვნების განურჩევლად 30,000 მან.

25) ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 25,000 მან.

26) წერა-კითხვის გამა რცელებელ საზოგადოების სამოსწავლო წიგნების გამოსაცემად და სკოლების-თვის, უმთავრესად პროფესიონალ სკოლებისთვის დასაარსებ-

---

თა შორის სომეხი ისრაილ ორია ეფიცებოდა რუსის მთავრობას—„ოღონდ ომი გამოუცხადეთ სპარსეთსა და მაშინ ნახავთ რა დახმარებას გაგიწევთო. სომხეთში ჩვიდმეტი ოლქია, (11600) ას თექვსმეტ ათასს შეიარაღებულ სომეხ მეომარს მზათ დაგახვედრებთო და ქართველებიც მოახერხებენ ოცდა ათი ათასს (30000), სპარსები ოცი ათას კაცსაც ძლივს მოახერხებენ და მთელ სპარსეთს რამდენსამე დღეში დაგიმორჩილებთო“. მაგრამ რუსებმა არ დაუჯერეს [1]). ორიამ პოლკოვნიკობა გაიკრა პეტრე დიდისაგან და სპარსეთისაკენ გასწია დიპლომატიური საქმეებისათვის. რუსეთში დარჩა ორიას ამხანაგი მინას ვართაპეტი, რომლის საქმიანობა სამარცხვინო ინტრიგებითა და ცილისწამებით დაბოლავდა.[2]) 1765 წ. რუსეთში გამოჩნდა ერთი კაცი რომელიც სახალხოთ იძახდა „მე იმპერატორი პეტრე III ვარო. პასპორტი ყალბი აღმოაჩნდა. გამოძიებით დამტკიცდა, რომ იგი იყო ასლან ბეგოვი სომეხი. იგი მაგრა გაროზგეს და ნერჩინსკში გაგზავნეს.[3])

ერეკლე მეფის მდივან-მსაჯული კარგი მამულიშვილი და ერთგული მეფისა ოსესძე იესე ნიშანში ამოიღეს მდივანმა, თუმანისშვილებმა და მათმა ხელქვეითმა სომხობამ, არაფერსა ზოგავდენ რომ თავიდგან მოეშორებინათ როგორმე; აი როგორ აღგვიწერს იესე იმ დროინდელ სომხების მიმართულებასა თავის „თავგადასავალ-ანდერძში“. „ქ. ზუმლთონი სომეხნი, მტერნი ქრისტესნი და მესისხლენი მართლმადიდებელთანი (ე. ი. ქართველთანი), რაოდენ ძალუძსთ და თუ დრო იცის, ვაჭარნი ვაჭრულად და ცოდვისათვის ჩვენისა მეფისა პალატსა შემოცვივნულნი, კალმით სისხლის მღვრელნი, რომლისა ბრალი ქრისტემან მათგან იზღვიოს, რომელთაც პირველად უთაონი და ოთხის კრებისაგან შეჩვენებულნი, მთავრობა და მეფობა აღძრცვილნი და ყოველს პირსა ქვეყანისასა ღვთის მონად მიცემულნი, საქართველოში უფლად და განმგებთ და აზნაურათ დაუდგენიათ წინააღმდეგ ღუთის ბძანებისა და განრემზომად მსჯავრისა ღუთისა ჭეშმარიტად. ჰე იძიებს მათგან, რომელნიცა იყვენ უსახურნი მეფენი, მათ უქმნიეს, თორემ ნახეთ აღმოსავალ, დასავალი, ბლვარი და ჩრდილო; სადა აქვს სომეხსა აზნაურება. ღმერთმან განხეთქა, კაცმა ვით აღადგინოს?!.

ეს აურზაური 1772 წ. ატყდა. იმ ხანათ ალექსანდრე ბაქარისძე სპარსეთში იყო და ერეკლეს ეცილებოდა ქართლსა. ამ ალექსანდრეს მომხრეობას აბრალებდნენ ზაალ ორბელიანსა და იესე სომხებმა მასთან მიწერ-მოწერაში გარიეს.

„სომეხნი მდივნები თურმე მტერნი იყვნეს ჩემნი. ამათ ჰყავთ ნათლათ მოკიდებული ციციშვილი თეიმურაზ (მდივანბეგი) მსაჯული და სიმართლე იხილეთ მწვალებელო შესაკრებელში შესრული და ამქმელი მწვალებელთა შვილისა ~~და შვილისა~~ და მის იქედნესა მაგიერ აღმსარებელი და მოწამე მის მწვალებლებისა. ესე მზე სიმართლისა ოდეს აღმოხდეს, მაშინ იძიოს“.

„ქ. მე ჭეშმარიტათ არ ვიცოდი, თუ ესეთი მტრობა ჰქონდათ ჩემი, რომე სისხლის დაღვრის ღირსი ვიქნებოდი. მართალია, ბატონმა მდივნობა მიბოძა კვინიხიძის ქართველის მდივნის წილი. ამათი (სომხების) მამები მთავრობდენ, ამხანაგობდენ და შვილებისას როგორ ვფიქრობდი; ესენი კი მითაკილებდენ და მერმე ყოველი შესავალი იმათს ხელთ იყო: ქრთამი, ფეშქაში, წიგნის წერა. ღმერთს ვიმოწმებ, წელიწადში ხან ხუთმეტი თუმანი, ხან ოცი და ხან მეტი მცირე რამ—ეს მერგებოდა, ვიყავი ჩემთვის. ვამბობდი, არ შერჩებათ არც ღუთისაგან, არც ბატონისაგან. ქართლი აწერეს, არაგვი, ქსანი, შართლამებისა, მუფასებისა არა მოჩცეს რა და ამას როგორ მოვიგონებდი—ესენივე მემტერებიანო“!.[1])

1779 წ. შემოდგომახედ ერევნის ბატონმა ალიხანმა ერეკლეს უღალატა და სანდო კაცნი გამოურეკა. ამიტომ შემოიკრიბა ჯარი ერეკლემ 1780 წ. აგვისტოში ჩაუხდა, დაუმარცხა ჯარი და მორჩილებაში მოიყვანა, დაადო ხარკი. აქ გაერთვნენ ადრიშეუანის ხანები ფეშქაშითა და ძღვენითა—თავრიზისა ხუისა, ურუმისა, შაყაყისა, მარაღისა, შირაგლისა, ბაიზეთის ფაშისა, ყარსის ფაშისა, ძლიერი შამადიანლა ქურთთა მეპატრონე.[1]) ამ დროს მრავალისომეხი და ქურთი წამოიყვანა ერეკლემ სულხან და მანუჩარ თუმანისშვილების ჩიჩინით. სულხანმა და მანუჩარმა (ძმები) ჩვეულებისამებრ კარგათ მოითბო ხელი: ერევნიდგან მორეკა კამეჩი, ხარი, ძროხა, ცხენი და მიაბარა აქა-იქ; მოიყვანა მრავალი სომეხი და დაასახლა სადაც უჯობდათ, ასე იყვნენ განებრივებულნი და გათამამებულნი თუმანისშვილები—მდივნები. სომხეთში გამოჩნდა ამადანითგან ვიღაც ოსეფა ემინი, სომეხი, ინგლისითვან პეტერბურგში მოვიდა 1760 წ. აქეთგან სამშობლოში ჩამოვიდა და მცდელობდა სომხების თათართაგან განთავისუფლებასა, ამისთვის მისანდო კაცი გაგზავნა ოსმალეთში, სპარსეთში და სხვა. და ყველგან აგულიანებდა სომხებს ამ საქმისათვის.

ყარაბაღის სომხობა სულ ერთიანათ გადურია იბრაიმ ხანს. ოსეფამ ერეკლეც ინახულა და შემწეობა სთხოვა, მაგრამ ყური არ ათხოვა მის ქარაფშუტობასა და ხელით ანიშნა—„საითგანაც მოსულხარ, იქვე მიბრძანდიო“.

ოსეფა ინდოეთისკენ წავიდა და იქ მოკვდა. ოსეფას ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა—ეკატერინე დიდის შეკითხვით პოტემკინმა მოისაზრა—ერეკლეს შემწეობით იბრაიმ ხანი გადაეყენებინა და ყარაბაღ-ყარადაღითგან დაეფუძნებინათ სომეხთა თავისუფალი სამთავრო წარჩინებული რომელიმე სომხის მეთაურობით და სხვა სომხებიც ამ გზაზე დაეყენებინათ სპარსეთში და ოსმალეთში, რომ აზიაში აღედგინათ საქრისტიანო სამეფო. სომხებმა რომ ეს მოსაზრება პოტემკინისა გაიგეს, სიხარულისაგან გადირივნეს და საბატონყმოთ თავს აღარავის უდებდნენ. ამ დროს აუბილბილდა პატრიოტული გრძნობანი მანუჩარ მდივანს და ასე დასწერა თვისი გულის კვეთებანი:

„ვგოდებ შენთვის, ქვეყანაო ჴაივანისაო!
ვგოდებ, შენთვის, საჩინოო კერძო ჩრდილოჲსაო!
არღა გვივის მეფე, არღა გვივის მღუდელი,
ზრახვისა მომცემელი, და ბრძენი მოძღუარი.

მყუდროობაა ჲ შენი დახსნილ, ყოველსა ადგილსა შფოთი და ხდომა, და თრგუნვილ სალმთო სარწმუნოება და წილ მისაუსჯულობა და უგბილება.

მტკივის შენთვის, სომეხთა ეკკლესიაო, მოკლებული დიდ საფრიადოჲსა საყდრისაო, სულ ფრიადისა მწყემსისა და ბრძნისა მისთანა მოღუაწისაო.

ვერღა უკვე ვსჭ... ... პირმი... სამწყოსა, მწყსილსა ... ...ოთა, ანუ ჰევლთ... ბილთა წყაროთასა, ანუ სამროწლთა ზედა აძვინუარე მხეცთაგან უშიშთა.

იგინი განბნეულ არნ ტევრთა და უდაბნოთა
და რონინებენ ადგილთა საშიშრთა.

ვაშკაცთა (?) კეთილთა პირველისა და მეორისა სიძისა განსულისა და მისთანა მღუწელისათა.

მაშინ შენ დიდ სულად მოთმინებითა
დაიცეყ სარეცელი წმინდად და უვნებლად,
და მით აღესრულნეს წინასწარმეტყველება ბრძნისა.

ვუალად უბედნიერესი ჟამნი იდუმალ
შეგეპარნეს რა უბიწოსა სასძლოსა,
სამეძაონი ღირწებანი,
იპოე მყარად და მიუდრეკელ, საშუალ
ყოველთა ძმაცულებათა,
მძლავრებათა და უბადრუკებითთა ჟამთა ქცეულებათა,
ვითარცა ჯერ იყო მოლოდებად მახედსა.

მიტოვებულსა მამისასა ამპარტავანთა
ძეთაგან და მოლებასა
უცხოჲსა ულისისა—მაშინტაცა გამოჩნდი
მშვიდ და მლოდიეე მოთმინებით მოქცევასა.
მწყემსისა შენისა და მის თანა მღუწელისა,
და განმტფოში შვილთა თვისთა ყოვლითარე
მოწლეობითა, რაცხდი მათ არა უცხოდ,
არამედ ძეებად მხოლოჲსა მამისა.

აწ უკვე მეორედ განსრულთა მოქცევასა აღარა ვესავთ. იგინი განისვენებენ წიაღთა შინა აბრაამისთა და მემწყობრობენ ანგელთა თანა, ხოლო შენ ქურივ ხარ და გარემოცულ საზარელთა მტერთაგან“. ბუნდათ სწერს. ფრთხილი მანუჩარი წინდახედული ოსტა... ...ყო და ერიდებოდა ქართველებს. ... ...რთ ... ...ნედული იყო, ამას შ... ... მდ.

(შემდეგი ...)

---

[1]) იხ. Ист. россіи, Соловьева, кн—4, ხვ. 685—686.

[2]) იქვე, ხვ. 687—69(3)

125

[3]) იქვე кн. 6, ხვ.

[1]] იხ. თავგადასავალი იესესი, გვ. 91,92.

[1]) იხ. ქ.—ცხ. 11. გვ. 497.

...შესანიშნავ 100.000 მან.
...სიტყვა აუზმულ მწერლობის სა-
...ქმეების დასანიშნად მისის
...განსვენებული მისი მეუღლის დ. ზ.
...ის სახელობაზე საუკეთესო
...ნაწარმოებისთვის 20.000
...

28) ქართულ დრამატიულ საზოგადო-
ებას 100.000 მან.
29) მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალ-
...ნს 10.000 მან.
30) ქალაქ თბილისს სადღესასწაულო საა-
...ვისთვის შენობის ასაგებად მისის
...ებულ მისი მეუღლის დ. ზ.
...ის სახელობაზე 200.000 მან.
სულ 814 500 მან.

...ები დანიშნულებისამებრ თან-
...ების შემდეგ არა უგვიანეს 2

—

...ის გარდა განსვენებულმა დას-
...იმი და სამრეწველო დაწესე
...მელსაც ეხლა დაახლოვე-
...ორ მილიონად
...ამ დაწესებულებათა ლიკვი-
...მოხდეს არა უგვიანეს ექვსის
...რაც თანხა შედგება უნდა გა-
...წ.-კითხვის საზოგადოებას,
...ის დრამატიულ საზოგადოებას და
...ულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სა-
...ოებას.

...ანდერძის ამსრულებლად დანიშნუ-
...ი არიან: ძმა განსვენებულისა ადამ
...ძე ფოროაქიშვილი, დავით ილარი-
...მე ფოროაქიშვილი, ალექსანდრე თე-
...ძე საროჯიშვილი, მიხეილ ვახტან-
...მაჩაბელი და თ-დი გიორგი ვასი-
...ძე მაჩაბელი

## ...ლაქის საბჭოს კრება

### 8 აგვისტო.

კრება დაიწყო საღამოს 8-$^1/_2$ საათზე. ქალაქის
...ამ ბ. ი. ... კრება გახსნა და მოახსენა
...ხმებს რომ 9 აგვისტოს მან მიიღო დეპე-
...თბილისიდან სადაც გარდაცვლილა ცნობი-
...ქველმოქმედი ქალბატონი ეკატერინე ივა-
...ის ასული საროჯიშვილისა, რომელსაც ქალა-
...სთვის უანდერძნია 150,000 მანეთი. ამის
...ქალაქის გამგეობამ ... იქონიას
...და შეადგინოს პროექტი თუ როგორ
...ბატივი განსვენებულის ხსოვნას პროექ-
...მოსმენამდე ... ფეხზე ადგომით
...ძვირფასი ადამიანის და იშვიათი
...ხსოვნას ქალაქის თავის სიტ-
...დასრულებამდე კრება ფეხზე წამოდგა.
შემდეგ ქალაქის თავის მოადგილემ ბ. მო-
...წაიკითხა პროექტი
ხმ. ა. ნ. ნიკვაძე. საჭიროა გამოირკვეს
...დანიშნულება და მსჯელობა შე-
...ქონს.
ქ. თავი ... მე ვფიქრობ უნდა თქვენ-
...ნანდერძევი, ასე ფი-
...განსვენებული, თუმცა
...საზოგადოებამ დღეს ცალკე მი-
...დეპეშაში რომ 25000 მანეთი მისთვის
...ანდერძა.
ხმ. ტრ. მ. ჯაოვარიძე. ჩვენ დღეს აქ ცო-
...ვართ, მაგრამ სამი თხიც რომ ვყოფი-
...არს ჩვეულებრივ კრებას მაინც მოგვხ-
...და იმას ვასრულებდით, რაც საჭი-
...რაც შეეხება განსვენებულის ხსო-
...ეს რთული საკითხია და ეს
...ამ კრებამ უნდა გადაწყვიტოს, რო-
...შემდეგ მოხდება და რო-
...ხმოსანთა უმეტესობა დაესწრება, ამი-
...ვიძლევი ახლა პანაშვიდი
...დღეს მონაწილე-
...მიღება გადაწყვიტოთ და დანარჩენი
...

რამდენიმე ხმოსნები. მართალია, უმჯობესი
...წინადადება მიღებულია.
ქ. თავი ... გასვენების დღეს და-
...და როგორი მონაწილეობა მიიღოს:
...განსვენებულის ცხედა-
...ით სხვა სახით გამოვხატოთ პატივისცემა.
კრება ასახელებს ქალაქის თავს და ორ ხმოსანს
ა. ნ. ნიკვაძეს და ვლად ვ. წერეთელს და
...მათ თბილისში გადაწყვიტონ ეს სა-
...ადგილობრივ შეთანხმებით დასასრულ
...შემდეგი გადაწყვეტილება: ახ-
...ქ. გარდავიხადოთ პანაშვიდი და დაკრძა-
...დღეს კი ქუთაისის საკათედრო ტაძარში.
...პანაშვიდის გადახდა.
...

## ავტოკეფალიის გარშემო.

ამ ბოლო დროს რუსულმა პრესამ განსა-
კუთრებით სასულიერო გაზეთებმა, ჩვენი ეკლე-
სიის თავისუფლების შესახებ მოუხშირე წერა.
ეს გარემოება ჩვენთვის ყურადღების ღირსია,
მიტომ რომ მტერსა და მოყვარეს მაინც ვი-
ცნობთ. უამისოდ ძნელად მოხდება საქართვე-
ლოს ეკლესიის ავტოკეფალიის კეთილად
დაგვირგვინება.

როგორც ვიცით უწმინდეს სინოდს საქარ-
თველოს ეკლესის გამგედ ეგზარხოსები ჰყავს
დანიშნული. ამ ერთი საუკუნის განმავლო-
ბაში თუზე მეტი ეგზარხი გამოიცვალა ჩვენმა
ეკლესიამ ამათგან მხოლოდ ერთი იყო ქართ-
ველი, ვგონებ, ისიც მხოლოდ სახელით.

დღევანდელი ჩვენი ეგზარხოსი, მაღალ ყოვ-
ლად უსამღვდელოესი პლატონი პირველად
ყველას მრავალ წამებული ივერიის ეკლესიის
თავისუფლების მომხრე გვეგონა, მაგრამ ბ.
ობერ პროკურორის საქართველოში ჩამობრძა-
ნებამ მათი მეუფეების სულის კვეთება ამ სა-
ქმეში ნათლად დაგვანახვა. აი ამის საბუთიც
როგორც ვიცით ქუთაისში ჩამობრძანებისას,
ბ. ობერ პროკურორს, ყოვლად სამღვდელო
იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი ღირს შესანი-
შნავი სიტყვით შეხვდა ამ სიტყვის დედა აზრი
ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობა იყო. ასეთ
საგულისხმიერო სიტყვას ეგზარხოსმა გვერდი
აუქცია რაც ჩვენი ტკივილების არად ჩაგდებას
ნიშნავს, ამბიონზე შებრძანდა და დაჭრილებისა
და გადმოხვეწილების შესახებ იწყო ქადაგება.
აი მეორე საბუთიც. ბ. ობერ პროკურორის
დასავლეთ საქართველოდან თბილისში დაბრუნე-
ბისათანავე, ყოვლად სამღვდელო გიორგიმ. მა-
ღალ ყოვლად უსამღვდელოეს ეგზარხოსს პლა-
ტონს დეპეშით სთხოვა (საპასუხო დეპეშის
ფულიც გასტუმრებული იყო) რომ ნება დაე-
რთო თბილისში მისვლისა, რათა ჩვენი ქვეყ-
ნის წარჩინებულ პირებთან ერთად ავტოკეფა-
ლიის შესახებ დაწვრილებით მოელაპარაკნათ
და იქვე მეოფი ობერ პროკურორისათვის მო-
ახსენებიათ ამ საჭირო საკითხის გარემოება,
მაგრამ ეგზარხოსმა უყურადღებოთ დატოვა
ყოვლად სამღვდელო გიორგის დეპეშა.

თუ ბ. დირექტორის სიტყვები მართალია,
რატომ საქმით არ დაგვიმტკიცა ეს, რად
დართო ნება ლექტორს 1881 წ. გეგმის
წინააღმდეგ ელაპარაკნა.

მ. ფარცხნალელი

ი. ... (damaged)

## ქუთათური საპედაგოგიო კურსები.

18 აგვისტოდან ქუთაისში სახალხო
მასწავლებლებთათვის საპედაგოგიო კუ-
რსები გაიხსნა. ასეთი კურსების მნიშვნე-
ლობაზე ლაპარაკი ზედმეტია მათი მნი-
შვნელობა დღეს ყველასათვის ცხადია;
მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ასეთი კუ-
რსები უსათუოდ საღ პედაგოგიური
პრინციპებზე უნდა იყოს აშენებული.

ქუთაისის დღევანდელმა საპედაგოგიო
კურსების პირველმა დღემ კი ამის საწი-
ნააღმდეგო სურათი დაგვიხატა.

რუსული ენის ლექტორის ლექციამ
რუსული ენის სწავლების შესახებ ჩვენს
სკოლებში არა სასიამოვნო შთაბეჭდილება
მოახდინა შეგნებულ მასწავლებლებზე.
მისი რჩევით რუსული ენის სწავლებას
(სისტემატიურ ლექსიურ განყოფილებას,
როგორც იმან უწოდა) პირველივე დღი-
დგან უნდა შეუდგეთ ჩვენს სკოლებში,
ასე რომ სამოსწავლო წლის მეორე ნა-
ხევრის დაწყებისას ბავშებმა 500 რუსუ-
ლი სიტყვა მაინც უნდა იცოდენ რომ
იანვრიდან თამამად შეეძლოსთ სისტემა-
ტიური ლექსიური განყოფილების დაწყე-
ბა. ამასთანავე თქვენ, მასწავლებლები,
უნდა ეცადოთ ბავშვები მიაჩვიოთ რუსუ-
ლად აზროვნობასა (мыслить по русски)

ამ ლექტორს შენიშნეს, რომ რუსული
ენის სწავლება ჩვენს სკოლებში სამოსწა-
ვლო წლის მეორე ნახევრიდან იწყება
და ამაზე ადრე ამ საგნის სწავლების და-
წყება სამშობლო ენას ავნებსო. ამის
შემდეგ დიდხანს აღარ ულაპარაკნია ბ.
ლექტორს და თავისი ლექცია გათავებუ-
ლად გამოაცხადა.

ლექციის გათავების შემდეგ სახალხო
სკოლების ბ-მა დირექტორმა, რომელიც
ლექციის დროს იქვე იყო, სიტყვით
მიმართა მასწავლებლებს და დაახლოვებით
შემდეგი უთხრა: „მე თუმცა მომხრე არა
ვარ 1881 წ. გეგმისა, რომელი გეგმაც
აქამდის არხივს უნდა ჩაბარებოდა.
მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ იგი არის
... ჩვენ მის შეცვლის ...
... სიტყვები ...
... მოსწავლეები
... ვერ ვებრძვი...

## დაპყრობილ ოსმალეთში

### II.

ყარაურგანი სარიკამიშიდან 38 ვერსტი-
თაა დაშორებული, აქაური მცხოვრებნი
ერთობ არეულია; მკვიდრებში შეხვდებით
სომხებს, თათრებს და ზოგან რუსებსაც.
ყარაურგანი უფრო სოფელს წააგავს, ვი-
ნემ სადამოუნო მოსაზღვრე დაბას. ომის
დაწყებამდის აქ რკინის გზა არ მოდიოდა.
ფოსტა კვირაში ორჯერ დადიოდა და
ახლაც დროებით ასევე დადის. ტელეგ-
რაფის მავთულებით კი ეს დაბა დიდი ხა-
ნია შეერთებულია სხვა ცენტრებთან.

როგორც პირველ წერილშიც ვთქვით,
აქ გადის ძველი ოსმალეთ-რუსეთის მო-
საზღვრე ხაზი. დაბა ერთობ რუსეთის სა-
უფლოზე ყოფილა, თუ ორიოდე სახლს
გამოვაკლებთ. დღეს კი მოსამსახურეთა
ბარაკები და სწრაფად აშენებული ხის სა-
სადგომები ოსმალეთის ძველ საუფლოზეც
გადასულა, როგორც სარიკამიში,

ყარაურგანის სამხრეთ ნაწილიდან უკვე
იწყება დაპყრობილი ოსმალეთი. საერთოდ
საზღვარზე და კერძოდ საზღვარ გარეთ
წასვლაზე ბევრს ახირებული წარმოდგენა
აქვს.

— საზღვარგარეთ ვყოფილვარ შინ მშვი-
დობით დავბრუნებულვარ და აქ რა მი-
ჭირსო, — ამბობენ საზღვარგარეთ ნამყო-
ფნი. მე კი პირველად გადავდიოდი საზ-
ღვარს და ეს რაღაც გაუგებარ გრძნობ-
ტელს მგვრიდა.

ჩემთან ერთი ჩემებრ სამხედრო მოხე-
ლე იყო, ჩვენთვის ცალკე ფურგუნი იყო
დანიშნული და ამ „რჩეულ ეტლით“,
როგორათაც მივვაჩნდა ის ჩვენ ირგვლივ
გამეფებულ ორომტრიალში, ნელად მი
ვიზლაზნებოდით. მეეტლე ჩვენს გრძნო-
ბებს, ფიქრებს, ხშირად მისკენ მიმართულ
კითხვებსაც, ნაკლებ ყურადღებას აქცევ-
და და ბეჯითად დასძახებდა ცხენებს: —
Ну, Собака, что ты застряла! Э-э о-о!
და სხ. და უწმაწურად იგინებოდა.

ჩვენ ყარაურგანიდან დახლოვებით 37
ვერსტზე ვიყავით გამწესებული, სოფელ
ალიჯაკრაკში. უნდა გვევლო სულ მთე-
ბით, აღმართ ჩაღმართით და ეს კი იმდე-
ნად გვიღალავდა, რომ ჩვენს დაკვირვების
სურვილს შუაზე ჰყოფდა. მიუხედავათ
ამისა ჩვენ არც ჩვენს დაღლას ვუწევდით
ანგარიშს და არც ჩვენი მეეტლის სიზარ-
მაცეს, — მას კითხვებს კითხვებზე ვაძლევ-
დით. მეეტლე იმ არე-მარის ზედმიწევნით
კარგი მცოდნე აღმოჩნდა. ის ძალა-უნებუ-
რად გვაკმაყოფილებდა ჩვენ, როგორც,
სხვა არა ყოფილიყო რა, სამხედრო მო-
ხელეებს, რომლებისთვის სამსახურის ად-
გილას მხოლოდ იყო პრაპორჩიკის მუნდირ-
ეპოლეტები... მეეტლე ჯარის კაცი იყო
და სულ „слушаю-съ, слушаю съ“-ით
გვეუბნებოდა.

გზაზე გავიარეთ ორი სოფელი, ერთ
მათგანში, ბეჯინგერთში, ღამეც გავათიე-
თ. სოფლები ერთიანად დალეწილია;
ზოგი ომის ასპარეზი ყოფილა

გზები რუსის მთავ-
რობის გაყვანილია და რადგანაც მათზე
დიდი მოძრაობაა, მუდმივ შეკეთებას და აუ-
არებელ ხარჯს მოითხოვენ.

გზებზე ბევრგან შეხვდებით მეტის
შრომისაგან დავარდნილი ცხენები დატე-
... ურმები; ... საფლავე-
ბიც“... უამბარის ... დაჟანგული
... ტყვიები ... ოსმალებისა ... და სხვა
... ბი.

გზაზე მომუშავეები — მათ შორის ბევ-
რია ქართველებიც-სულ ხშირია. ყარაურ-
განსა და სარიკამიშის შორის გზებზე აუ-
არებელ ოსმალო ტყვეებს ამუშავებენ,
უმთავრესად ახლად ასაშენებელ რკინის
გზაზე. დაპყრობილ ადგილებზე კი ისინი
არ შეგვხვედრია. სოფლების მახლობლად
და თვით სოფლებში ყველგან არის ან
წითელი ჯვრის, ან საერობო სამხედრო
განყოფილება-პუნქტები.

სოფლებში მცხოვრებთა დიდი ნაწილი
ომის შემდეგ ისევ უკან დაბრუნებულა
და განაგრძობს ოჯახურ ცხოვრებას. ბევრს
პირნახულის დათესვა-მომკაც მოუსწრია
და ამ ჟამად ლეწავენ.

ალიჯაკრაკის ახლო-მახლოს საკმაოდ
დამუშავებული ბაღებიც შეგხვდა.

ბაღის გამშენებლები თათრები არიან
და ირგლივ გამეფებულ სიველურეში მათ
საკმაოდ ხელოვნურად დამუშავებულ ბა-
ღებმა გამაკვირვეს.

აქეთკენ წვიმები ძვირად მოდის და მათ
მთიდან უხთებად სარწყავ წყლის ჩამო-
ყვანა. დაეთესად ყველა ცნობილი მწვა-
ნეულობა ჩვენებურის ბოსტნისა, ნესვი,
კიტრი, ჩაერთოთ ხილად სიმინდიც, ხო-
ლო უმთავრესათ ქარტოფილი იყო მო-
შენებული. ყველაფერს კარგი პირი უჩან-
და, რითაც ძლიერ კმაყოფილი იყვნენ
ომიანობისაგან აწიოკებული იქაური მო-
სახლეები-თათრები, ზოგან სომხებიც.

უნდა გადავსულიყავით მდ. არეზი,
ალიჯაკრაკი 4 ვერსტითაა მისგან დაშო-
რებული. არეზის პირას რამოდენიმე და-
რაჯი-ჯარისკაცი ვნახეთ. იმათ მდინარეში
ანკესები გადაეშვათ და თვალის დახამხა-
მებაზე თითოს ორ-სამი თევზი ამოყავდა.
ამ მხრით არეზის ქება გამიგონია, მაგრამ
თუ ასე მდიდარი იყო იგი თევზებით, არ
მჯეროდა, იშვიათი მდინარე ყოფილა ამ
სიმდიდრით.

არ. ფანცულაია.

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** დღეს, ხუთშაბათს, 11 ივლისს
დ. ხონში გაიმართება მსახიობ და რეჟი-
სორ მ. ნემოს ბენეფისი. წარმოდგენილი
იქნება „უპრეტენზიო კომედია“ ვ. შა-
ლიკაშვილისა და „მათიკო“. მსახიობი
ნემო 30 წელია რაც ქართულ სცენას
ემსახურება. ერთი უნიჭიერესი მსახიობთა-
განია ჩვენ სცენაზე. წელს ის მიიწვია
ხონის დრამატიულმა საზოგადოებამ რეჟი-
სორათ და მსახიობათ და რამდენადაც შესა-
ძლო იყო იმ პირობებში მუშაობა, რომელ-
შიაც იმყოფება იქაური დასი, მან ღირსე-
ულად გაუძლვა საქმეს, და საზოგადოების
ყურადღებაც დაიმსახურა მ. ნემო განსაკუ-
თრებულ პირობებში იმყოფება დასში
ხონის საზოგადოება ვალდე-
ბულია, როგორც ზნეობრივათ, შეიძლება
იურიდიულადაც, დაესწროს მის ბენეფისს
დღეს და მადლობა მაინც გადაუხადოს
დამსახურებულ მსახიობს და რეჟისორს.

ინ—ჟანი.

## ღია წერილი

### „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას

ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ № 31 ნო-
მერში მოთავსებულია ... ...
რომლებიც დაუმსახურებელ შეურაცყოფას აყე-
ნებენ ადგილობრივ საკრედიტო ბანკის საქმის
მწარმოებელს და ძირულის სამკითხველოს ხა-
ზინადარს.

რადგან ეს ყოვლად ყალბი „დეპეშები“ ხელ
მოუწერელია-ჩვენ მოვითხოვთ თვით რედაქ-
ციისაგან დაგვიმტკიცოს: როდის იყო რომ
ძირულის სამკითხველოს ხაზინადარს გამგემ
ანგარიში მოსთხოვა და პირველი მას ამისთ-
ვის ამოწვდილი ხანჯლით დაემუქრა?-ან სად
გაიპარა საკრედიტო ბანკის მწარმოებელი და
რა დანაშაულობა მიუძღვის მას თანამდებობის
ასრულების საქმეში? ვუცდით რედაქციის პა-
სუხს. რის შემდეგ ჩვენ მიერ დასახელებულ-
იქნებიან მედიატორენი და დღესვე კი საქვე-
ყნოთ აღვიარებთ, რომ თუ ჩვენ რაიმე და-
ნაშაული მიგვიძღვის დავალებულ საქმეში, ვალ-
დებულად გავხდით ჩვენს თავს ძირულის სამ-
კითხველოს სასარგებლოდ გადავიხადოთ 30
მანეთი და თუ „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია
ვერ დაგვიმტკიცებს „დეპეშების“ სინამდვი-
ლეს — გადიხდის ზემოაღნიშულ დაწესებულე-
ბისათვის ხსენებულ ჯარიმას.

პასუხს ველით ათი დღის განმავლობაში
ამ წერილის დასტამბვიდან.

ძირულის სამკითხველო ხაზინადარი ერ-
მალოზ ებანოიძე.

ძირულის საკრედიტო ამხანაგობის საქ.
მწარმოებელი ალ. ხარატაშვილი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | —-დღით | — 5 ს.. 20 „ |

# ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ
ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმე-
დებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანე-
ბებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ:
სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხა-
მვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგ-
რესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკა-
ლური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუ-
ფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ
საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ მინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს
და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა
და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის
ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, ... მეხსიე-
რების, მხედველობისა და სმენის სასუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და
აშორებს მას ჩირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სი-
დამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-
ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლა-
ბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის**
საავთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის
საჭიროა ... კოლოფი.

... ... ... ...

9—(წლიური)